

ოქმი N4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

2020 წელი, 26 თებერვალი

ქ. ოზურგეთი

12.00 საათი -13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: გ. ღურჯუმელიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეები: ლ. ბიგვავა, ე. გორდელაძე, გ. ჩაგანავა, გ. კილაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: ტ. არიშიძე, ლ. მგელაძე, ბ. დოლიძე, დ. ჭაკნელიძე, გ. ჩავლეშვილი, გ. თოიძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ჩხიკვიშვილი, ქ. ვასაძე, ხ. ცერცვაძე, ვ. ჩიგოგიძე, ნ. ორაგველიძე, დ. მამალაძე, ვ. ბერიძე, გ. მდინარაძე, ლ. ნინიძე, პ. კილურაძე, გ. ჩავლეშვილი, მ. ზოიძე, ვ. ნიჟარაძე, ვ. ჩხაიძე, ლ. კილაძე, ალ. ლლონტი, ვლ. ჩავლეშვილი, ჯ. თავართქილაძე, თ. ტულუში, თ. ბურჭულაძე, ლ. სიჭინავა.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე-ალ. სურგულაძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოების, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე - 46 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 33-მა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს

მუშაობას. გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც 33-ხმით დაამტკიცეს.

დღის წესრიგი

11. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტის - გომისმთის დასახლების (დაბა) შექმნის თაობაზე წინადადების მოწონების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები:

ალ.სურგულაძე,

ალ. მამეშვილი, ლ. ბიგვავა

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33-ხმით

თანამომხსენებელმა, მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ალ.მამეშვილმა ისაუბრა კურორტ გომისმთის განვითარების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ და მიმდინარე მუშაობაზე, მერის მიერ ინიცირებულ წინადადებაზე კუროტისათვის დასახლების (დაბის) სტატუსის მინიჭებისა და ახალი დასახლების „გომისმთად“ სახელდების თაობაზე. ასევე, აღნიშნა, რომ შესაქმნელი დასახლების შემოთავაზებული კატეგორია „დაბა“ სრულად შეესაბამება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არსებობს საქართველოს 5 მოქალაქის წერილობითი თანხმობა დასახლებაში რეგისტრაციის თაობაზე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ-გ.ღურჯუმელიძემ მხარი დაუჭირა მერის წინადადებას, განაცხადა, რომ დასახლების სტატუსის მინიჭება საფუძველი გახდება კუროტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების, ინფრასტრუქტურული და სხვა სამუშაოების განხორციელების, საერთოდ, მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის, ხაზი გაუსვა იმასაც, რომ კუროტის განვითარება შეიძლება გახდეს მოსაზღვრე მუნიციპალიტეტებთან ერთობლივი საქმიანობის საუკეთესო მაგალითი.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ განაცხადა, რომ კომისია მხარს უჭერს მერის წინადადებას, კურორტ გომისმთისათვის დასახლების (დაბის) სტატუსის მინიჭების თაობაზე. ასევე, აღნიშნა, რომ კომისიამ შეისწავლა მერის წინადადება ახალი დასახლების სავარაუდო სახელწოდების თაობაზე და შემუშავებულია კომისიის დადებითი დასკვნა, რომელიც წარედგინება შესაბამის სამთავრობო კომისიას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მისი აზრით, ეს არის მუნიციპალიტეტის სინამდვილეში არსებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი

პროექტი, რომელიც გახდება მუნიციპალიტეტის და მთლიანად მხარის ეკონომიკური განვითარების წყარო.

საკრებულოს სხდომა გამოცხადდა დახურულად.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

